მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 1.03.2025 წ. ბრძანებით 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

დ. მესტია **14.08.2025 წ.**

2025 წლის 14 აგვისტოს ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას უძღვებოდა:

კაპიტონ ჟორჟოლიანი -მესტიის მუნიციპალიტეტის მერი. „სამუშაო ჯგუფის" თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები:

სალომე კვიციანი საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ალირა უმფრიანი ბიუჯეტის დაგეგმვის და ფორმირების განყოფილების უფროსის მ.შ.

ქეთევან ხარძიანი ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ლალი გულედანი ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი

ირინა ღვაჩლიანი შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

ეკა გვარლიანი სოციალური დაცვის სამსახურის სტიქიით დაზარალებულთა და უსახლკაროთა განყოფილების უფროსი.

ლამარა მჭედლიანი ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი.

მარიამ ნაკანი მერის მრჩეველი საფინანსო და შესყიდვების საკითხებში

მაია ნაკანი განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ხატია წიკლაური საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

- **დღის წესრიგი:**

1.„მეასტიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში"წარდგენა

2.სამუშაო ჯგუფის მიერ პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტის, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების(პროგრამების) 2026-2029 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები(ჭერები) მოწონება.

მომხსენებელი: სალომე კვიციანი

- სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

სხდომაზე დამსწრე ჯგუფის წევრები თანახმა არიან დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

- **მოისმინეს: „მეასტიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში“.**

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა სალომე კვიციანმა წარმოადგინა მესტიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ აღნიშნული დოკუმენტი საფინანსო სამსახურის მიერ შედგენილია საბიუჯეტო კანონმდებლობისშესაბამისად. დოკუმენტში სხვა ინფორმაციასთან ერთად განსაზღვრულია აღნიშნულ წლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და პროგრამებზე გამოყოფილი ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

აღინიშნა რომ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება 2026-2029 წლების პრიორიტეტების და პროგრამებისასიგნებების ზღვრული მოცულობების გადახედვა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ კაპიტონ ჟორჟოლიანმა სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს კენჭიეყარათ სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტისთვის, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამების დაფინანსების ზღვრული მოცულობები, მოწონებაზე.

ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა მოწონებული იქნას მესტიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით ეთხოვოს საფინანსო სამსახურს:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტისმოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს, ა.ა.ი.პ-ებს და შპს-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნების ზღვრული მოცულობის მითითებით.

2. მიმდინარე წლის არაუგვიანეს 25 აგვისტომდე პროგრამების განმახორციელებელმა დარგობრივმა სამსახურებმა, ა.ა.ი.პ-ებმა და შპს-ებმა საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ საფინანსო სამსახურს 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობის ფარგლებში. ამასთან ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კერძოდ: მოთხოვნილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იყოს პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

- დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ კაპიტონ ჟორჟოლიანმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: /კაპიტონ ჟორჟოლიანი/

სამუშაო ჯგუფის წევრები: /სალომე კვიციანი/

/ალირა უმფრიანი/

/ქეთევან ხარძიანი/

/ლალი გულედანი/

/ირინა ღვაჩლიანი/

/ეკა გვარლიანი/

/ლამარა მჭედლიანი/

/მაია ნაკანი/

/მარიამ ნაკანი/

/ ხატია წიკლაური/